შ.პ.ს. „კირკიტაძე და კომპანია“

ქ.თბილისი, პეკინის ქ. № 27 ტელ: 237-23-00

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ში, ვაშლიჯვარში, ვალენტინ თოფურიძის ქუჩის I შესახვევი № 4-ის (ს.კ. № 01.10.10.020.066) მიმდებარედ მოქ. კონსტანტინე ჭანკვეტაძის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის შედეგები

ექსპერტი: გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი თარხან თევზაძე

როგორც წარმოდგენილ დასკვნაშია მოცემული, ეს უკანასკნელი ეყრდნობა საკვლევი ობიექტის გარშემო აგებული უახლესი შენობისათვის განხორციელებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების პარამეტრებს და აგრეთვე, სამშენებლო ობიექტის ტერიტორიაზე ავტორის მიერ შესრულებული 7 შურფის გაყვანის შედეგად მიღებულ მონაცემებს.

ამ მონაცემების თანახმად გამოკვლეული ტერიტორია მდებარეობს ლისის ქედის ჩრდილოეთ ფერდის აღმოსავლეთ დაბლობის და მდ. მტკვრის მარჯვენა I ტერასის გარდამავალ ზონაში, სადაც ადამიანის ანთროპოგენული მოღვაწეობით მოსწორებული რელიეფის ნიშნულები 463.0 - 470.0 მეტრ ფარგლებში იცვლება.

გეოლოგიურად ეს ტერიტორია აგებულია შუა და ზედა ოლიგოცენის გენეზისის თიხით შეცემენტებული მსხვილმარცვლოვანი გენეზისის ქვიშაქვებითა და დაბალი სიმჭიდროვის, სუსტად შეკავშირებული არგილიტებით. მოცემულია ამ წყების ფერდის აზიმუტი ჩრდილოეთის 340^0 და კუთხე $25-30^0$. რელიეფის ზედა ნაწილში ეს ქანები დანაპრალებულია და გამოფიტულია.

მეოთხეული, არაკლდოვანი გენეზისის დისპერსული გრუნტების საფარის კენჭნარ-ხრეშოვანი ალუვიური, თიხა-თიხნარი დელუვიურ პროლუვიური ნალექები და ტექნოგენური გრუნტები 5-10 მეტრს არ აღემატება. კლდოვანი გრუნტები კი ბევრგან გაშიშვლებულია საინჟინრო-გეოლოგიური სირთულის მიხედვით (სნ და წ. 1.02.07-87 დაყრდნობით) ავტორი მათ I (მარტივ) კატეგორიას მიაკუთვნებს.

გამოკვლევათა ძირითად ნაწილში, არსებული ტექნიკური მონაცემებისა და განხორციელებული საძიებო სამუშაოების საფუძველზე გამოყოფს ორ ძირითად ფენას:

- დისპერსული (ფხვიერი შეკავშირებულ და შეუკავშირებელი) თიხნარები, კენჭნარის, ხრეშის, ხვინჭის, ღორღის და სამშენებლო ნარჩენების ჩანართებით. მათი სიმძლავრე 3.2 მეტრს აღნიშნავს.
- ქვიშაქვების, თხელშრებრივი, გამოფიტული თიხაფიქლებისა და ქვიშაქვებით და არგილიტების მორიგეობით წარმოდგენილი წყება.

ნაშრომში მოყვანილია მათი ექსპერიმენტული გამოკვლევების ცხრილი რომლის თანახმადაც მშრალ მდგომარეობაში წინააღმდეგობა ერთღერძა

კუმშვაში იცვლება საზღვრებში R_c^w=246-690 კგძ/სმ2 (საშუალოდ 390 კგძ/სმ^2), წყალგაჯერების შემდეგ კი R_c^w=110-300 კგძ/სმ2 (საშუალოდ 220 კგძ/სმ2) დარბილების კოეფიციენტი $K_{დარბ.}$=031-0.73 (საშუალოდ 0.59) შეადგენს. მათი სიმკვრივე ρ=2.17-2.35 (საშ. 2.23) გ/სმ^3.

გამოთვლილია ერთღერძა კუმშვაზე წყალგაჯერილი მდგომარეობაში სიმტკიცის ზღვარის ზღვრული მინიმალური სიდიდის ქვიშაქვებისა და არგილიტებისათვის R_c^{min}=70 კგძ/სმ^2. წარმოდგენილი მასალები პრაქტიკულად ასახავს საკვლევი სამშენებლო მოედნის ძირითადად საინჟინრო-გეოლოგიური და გეოტექნიკურ პარამეტრებს.

ამასთან ერად, სასურველია გავითვალისწინოთ შემდეგი:

- კლდოვანი ქანების (ქვიშაქვების) სიმტკიცის ზღვარის პარამეტრების მაჩვენებლები, რომლებიც წარმოდგენილია ერთადერთ ცხრილში, არ შეესაბამება იმ სიდიდეებს, რომლებიც მოცემულია მე-4 გვერდის პირველ აბზაცში.

- I ფენა, ანუ მეოთხეული საფარი რომელიც ძირითადად მეოთხეული ტექნოგენური tQ_{IV} გრუნტებითაა წარმოდგენილი, ხოლო შემადგენლობა 20-30% ნაგვის ნარჩენებს შეიცავს და სიმძლავრე კი 3.2 მეტრს აღწევს, რელიეფის მნიშვნელოვანი ქანებების პირობებში უხვი ნალექების მოდინების პირობებში (ისეთის, როგორიც ცნობილი 13 ივნისის კატასტროფის დროს მოხდა) წარმოადგენს მასიური გადარეცხვის

მნიშვნელოვან მასალას. ეს ქანის ღვარცოფული მოვლენების ჩასახვისა და განვითარებას მასიური ურბანული მშენებლობის პირობებში საკმარისია არამარტო უშუალოდ გამოყოფილი ფართის საინჟინრო - გეოლოგიური შესწავლა, არამედ ბევრად უფრო მნიშვნელოვანი მასშტაბის ტერიტორიაზე ჩასახული ან განვითარების პროცესში მყოფი მოვლენების გათვალისწინებით. მათი მისადაგება უშუალოდ სამშენებლო მოედანთან და შესაბამისი დამცავი ღონისძიების შერჩევა.

დასკვნა

ქ.თბილისში, ვაშლიჯვარში, გოძიაშვილის ქუჩის II შესახვევში №12/4-ის მიმდებარედ შენებლობისათვის გამოყოფილი №020/066 ნაკვეთის საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებს. ზემოთ აღნიშნული შენიშვნები ჩატარებულ სამუშაოებზე მიღებული იქნა ავტორის მიერ, და სათანადო ცვლილებები გათვალისწინებულია წარმოდგენილ ნაშრომში. ამის შედეგად დ.ბობოხიძის ანგარიშმა მიიღო დადებითი შეფასება და შეიძლება მიღებული იქნას სახელმძღვანელოდ მშენებლობის პროექტისათვის საინჟინრო-გეოლოგიურ დარგში.

გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი: _____ თარხან თევზაძე

5.06.2016 წ.



მეცნიერებათა დოქტორის დიპლომი

№ 001330

თბილისი, 2003 წლის სექტემბერი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის

G 04.06 №5 სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილებით

(ოქმი № 2 21. 05. 2003)

თარხან თევზაძეს

მიენიჭა გეოლოგიურ-მინერალოგიურ 04.00.07;

მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი

ამ გადაწყვეტილების საფუძველზე დიპლომი გასცა საქართველოს სწავლულ ექსპერტთა საბჭომ

სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე:

სწავლულ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე:

ბ. ა.

Diploma of a Doctor of Sciences

№ 001330

Tbilisi, September 2003

Institute of Hidrogeology and Engineering Geology, Georgian Academy of Sciences

By Decision of the Dissertation Board G 04.06. №5

(Protocol № 2 of 21.05.2003)

THE DEGREE OF A DOCTOR OF SCIENCES

Geological-Mineralogical 04.00.07;

WAS CONFERRED ON

Tarkhan Tevzadze

On the grounds of this decision the diploma has been issued by the Board of Academic Experts of Georgia

Chairman of the Dissertation Board

Chairman of the Board of Academic Experts G. Kharadze

(SEAL)

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა



პირადი № 01008004486

სახელი თარხან

გვარი თევზაძე

დაბადების თარიღი 29.08.1937 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ქართველი

№ ბ 0067143

პირადი ხელმოწერა

მისამართი თბილისი. ს. ჩიქოვანის ქ. № 24ა

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის ვაკის შს განყოფილება

გაცემის თარიღი 19.07.1995 წ.

მოქმედების ვადა უვადო

ბ.ა. თანამდებობის პირის ხელმოწერა